ხელშეკრულება #01-04

CPV98111000 კომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები

ქ. თბილისი 12 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო'' წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს გამომცემლობა „კლიო“ , წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ხიდურელის** სახით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს'' შორის 2013 წლის 08 აპრილს გაფორმებული №1 ლიცენზიის და №2 განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებების, 2014 წლის 31 დეკემბერის №01-5, №02-5 შეთანხმებების და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 28 სექტემბრის №93 ბრძანების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ბეჭდვასთან დაკავშირებით, საავტორო უფლების მფლობელისათვის ჰონორარის სახით გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) გაცემა.

1.2 მომსახურების გაწევის ვადაა 30 კალენდარული დღე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია ჰონორარის სახით მოითხოვოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ბეჭდვისათვის განსაზღვრული ჰონორარის გადარიცხვა, მის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

2.2 საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია ჰონორარის მისაღებად წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები

2.3 სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ უფლებამოსილია:

ა) საავტორო უფლების მფლობელს მოსთხოვოს საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენა.

ბ) საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენამდე არ განახორციელოს ჰონორარის გადარიცხვა.

2.4 სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ ვალდებულია საავტორო უფლების მფლობელს, ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით), მის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

3. მხარეები ვალდებულნი არიან და სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.

3.2 საავტორო უფლების მფლობელს, ჰონორარის სახით გადაერიცხება გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) , რაც მოცემულ **შემთხვევაში შეადგენს 4226,58 (ოთხიას ორასოცდაექვის და 58 თეთრი) ლარს.**

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან მასში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორის არსებობისას, მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადავადდება მის გასვლამდე, ხოლო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მთლიანად.

6. დამატებითი პირობები

6.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით კანონით დადგენილი წესით.

6.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და გადაეცემა მხარეებს.

6.3

7. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"

თბილისი, მ.ალექსიძის ქ.№1, შენობა-ნაგებობა №1, მე-2 სართული

ს/კ 202294980, სახელ;მწიფო ხაზინა: ა/ა200122900 კოდი 220101222

დირექტორი

გრიგოლ გაგოშიძე

საავტორო უფლების მფლობელი:

შპს გამომცემლობა „კლიო" მის.:თბილისი. აღმაშენებლის გამზ. 181, ბ. 2

ტელ: 234 04 30 , სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი:BAGAGE22 ანგ. ნომერი:GE16BG0000000117581400

დირექტორი

ზაზა ხიდურელი ----------

#	სექტორი	გამომცემლობა	წიგნის კოდი	კლასი	წიგნის დასახელება	სახელმძღვანელოების რადოენობა	რვეულების რაოდენობა	სახელმძღვანელოებ ის ერთეულის ფასი	სახელმძღვანელების ფასი ჯამი	რვეულების ფასი ჯამი	რაოდენობა	ღირებულება
56	ქართული	კლიო	31	1	ხელოვნებ	0.00	10302	0.00	0.00	9457.35		
57	ქართული	კლიო	47	2	ხელოვნებ	0.00	10813	0.00	0.00	9300.39		
58	ქართული	კლიო	49	3	ხელოვნებ	0.00	9985	0.00	0.00	9690.74	48812	47385.84
59	ქართული	კლიო	75	4	ხელოვნებ	0.00	10418	0.00	0.00	9903.78		
60	ქართული	კლიო	72	5	ხელოვნებ	0.00	7294	0.00	0.00	9033.58		